მოკლე ინფორმაცია კოჰრანის პროგრამის შესახებ აშშ საელჩო საქართველოში იწვევს დაინტერესებულ პირებს აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოჰრანის ყოველწლიურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული მოქალაქეების მოკლევადიან (2-3 კვირა) ტრეინინგს ამერიკის შეერთებულ შტატებში. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სოფლის მეურნეობის დარგის მაღალი და საშუალო რანგის მუშაკებს, ფერმერებს, მენეჯერებსა და ადმინისტრატორებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან სასოფლო-სამეურნეო ვაჭრობაში, აგრობიზნესის მართვასა და მარკეტინგში, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორში. მონაწილეთა ინტერესების სფერო შესაძლოა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგს, გადამუშავებას, დისტრიბუციას, საბითუმო/საცალო ვაჭრობას, სასოფლო-სამეურნეო კრედიტებს, საბანკო საქმეს და პოლიტიკის რეფორმას შესაბამის სფეროში. ინგლისური ან რუსული ენის ცოდნა სასაუბრო დონეზე სასურველია და არა აუცილებელი მონაწილეთა შერჩევისათვის.

2016 წელს პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებებია:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება
2. აგრობიზნეს მენეჯმენტი და მარკეტინგი

მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის საფუძველზე. შესავსები აპლიკაციის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში ამერიკის საელჩოს ვებ გვერდზე. დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით აშშ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამის კოორდინატორს საქართველოში შემდეგ მისამართზე :

**tbilisiusda@state.gov**